საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაცია

თბილისი, კუმისის შეს. №33



საპროექტო ობიექტი, 2018

შემსრულებელი:

გია ჭანიშვილი


შ პ ს
„ძველი უბანი“
მაისი
2018

მდებარეობა

– თბილისი, კუმისის შეს. №33

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისის ისტორიულ უბან **ჩუღურეთის და ავლაბრის საზღვართან, კუმისის შესახვევში.** უბნის ეს მონაკვეთი **ბუხაიძის ქუჩის** მიმდებარედაა, რკინისგზის ხაზის ქვემოთ. საპროექტო ნაგებობა კუმისის შესახვევისა და კუმისის გასასვლელის კუთხეშია.


საკვლევი ობიექტი წარმოადგენს ქუჩის პირზე მდგარ ერთსართულიან საცხოვრებელ სახლს. საპროექტო ნაგებობის ერთი ფასადი გამოდის **კუმისის შესახვევში** მეორე **კუმისის გასასვლელში.**




რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

საპროექტო ტერიტორია

ამ უბანში არქიტექტურული ძეგლები არ არის აღრიცხული. ახლომახლო რამდენიმე ფონური ღირებულების ნაგებობაა.



აეროფოტო




ჩულურეთი, ხედი მთაწმინდიდან, 2018წ.


განაშენიანების განვითარების ისტორია

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა გარე ავლაბრის საზღვართან, რომელსაც ჩუღურეთიდან გამოჰყოფდა ე. წ. სურბ-კარაპეტის (ე. ახვლედიანის) ხევი.

ადმინისტრაციულად ავლაბარი და ჩუღურეთი თბილისს მხოლოდ XIX ს-ში შეუერთდა მაგრამ შემდეგ კარგა ხანს ეს ადგილები მაინც გარეუბნად მოიხსენიებოდა. თბილისის იმდროინდელ გეგმებზე გალავნით შემოზღუდული შ ი დ ა ავლაბრის ქუჩების ქსელი მოწესრიგებული ჩანს, გ ა რ ე თ ავლაბრის და ჩუღურეთის ქსელი კი კვლავ ამორფულია.



თბილისის 1902წ. გეგმა



თბილისის 1924წ. გეგმა

XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდებოდა ამ უბნის ქუჩათა სტრუქტურა. განაშენიანება განვითარდა კუმისის ქუჩის და ე. ახვლედიანის ხევის ორთავე მხარეს. XIXს-ის ბოლოს უბნის ზედა მხარეს გაიარა რკინისგზის ხაზმა. რკინიგზის პარალელურად გაყვანილი ქუჩა აკავშირებდა ავლაბარს ჩუღურეთთან. აქ შეიქმნა გეოგრაფიულ რელიეფს მორგებული ამორფული კვარტალები. ქუჩათა პერიმეტრები კი მოიცვა ერთ-ორსართულიანმა, წინასწარ დაპროექტებულმა საცხოვრებელმა სახლებმა.

XXს-ის დასაწყისში დასრულდა ავლაბრისა და ჩუღურეთის ქვედა ნაწილის ურბანული სახით ჩამოყალიბება. ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბანი კი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და განაშენიანება ურბანულად მოუწესრიგებელი. აქ შენარჩუნებულია 1-2 სართულიანი განაშენიანება. პერიმეტრზე განაშენიანებას მწკრივული ხასიათი აქვს, კვარტალების შიგნით კი, როგორც წესი, თავისუფალი მოხაზულობის საკარმიდამო ტიპის შიდა ეზოების სტრუქტურაა.

ამ რუკებზე ჩანს, რომ 1924 წლის თბილისის გეგმაზეც ჯერ კიდევ არ არის განაშენიანებული მცირე ბორცვი, საპროექტო ადგილი და მის ირგვლივ არსებული ტერიტორია.



ჩუღურეთის ხედი, გორსკის ფოტო 1911წ.


XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდებოდა ამ დაფერდებული უბნის ქუჩები. განაშენიანება განვითარდა სოფ. ჩუღურეთის არსებულ სტრუქტურაზე. XIXს-ის მეორე ნახევარში სანაპიროსკენ დაიკვალა სამი პარალელური ქუჩა, რომლებსაც რამდენიმე პერპენდიკულარული აღმართი კვეთდა. უბნის ზედა ნაწილში კი რთული რელიეფის გამო, რელიეფს მორგებული ვიწრო გასასვლელები წარმოიქმნა. ეს გარემოება ასახულია 1910 წ. საარქივო ფოტოზე. ამ ფოტოზე ჩანს, რომ ფერდობზე მდებარე საპროექტო ტერიტორია ჯერ კიდევ ნაკლებად დასახლებულია და მიმდებარე განაშენიანება ურბანულად მოუწესრიგებელი. განაშენიანება დღეს შევსებულია.

ამგვარად სოფ. ჩუღურეთის ქვედა ნაწილში შეიქმნა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ურთიერთპერპენდიკულარული ქუჩების ქსელი, მათ შორის მოქცეული მართკუთხა საცხოვრებელი კვარტალებით, ხოლო უბნის ზედა ნაწილში შეიქმნა გეოგრაფიულ რელიეფს მორგებული, საკარმიდამო განაშენიანების ტიპის ამორფული კვარტალები. უბნის ზედა მხარეს კი საზღვრავდა რკინიგზის ხაზი.

უბნის ქვედა ქუჩებზე აგებული იყო ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლები. ზედა ნაწილში კი ნაგებობები ძირითადად ერთ-ორსართულიანია. თუმცა, აქაც რამდენიმე ადგილას გვხვდება სამ-ოთხსართულიანი სახლებიც.

XXს-ის მეორე ნახევარში სანაპიროსთან შენდება რამდენიმე რვასართულიანი სახლი. უბნის დანარჩენი ნაწილი კი ხელუხლებელია. ამავე დროს ნაგებობათა დიდი ნაწილი დაზიანებულია და ზოგი მონაკვეთი დეგრადირებული.

უბნის განაშენიანება და ნაგებობა საპროექტო ტერიტორიაზე



მიკროუბანი საპროექტო ობიექტის ირგვლივ, ხედი მთაწმინდიდან, 2018წ.

უბნის ეს ნაწილი რკინიგზის ქვემოთაა. აქ ბუხაიძის ქუჩა გრძივად მიემართება და შემდეგ ასახვევია ზევით, რკინიგზისკენ. ბუხაიძის ქუჩიდან სამი ჩასახვევია ქვევით: კუმისის შესახვევი, კუმისის გასასვლელი და კუმისის ქუჩა. განაშენიანება, რომელსაც სამკუთხედის მაგვარი ფორმა აქვს საპროექტო ადგილის ირგვლივ, შემოფარგლულია კუმისის შესახვევით და კუმისის ქუჩით. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ერთგვარი ბორცვია. აქ ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანებაა. ნახევრადსაკარმიდამო ტიპის თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურით. მათ შორის გამოირჩევა მოზრდილი, ფონური ღირებულების სამსართულიანი სახლი №26. ნაგებობების ღირებულება ძირითადად გამოირჩევა რელიეფზე მორგების საინტერესო ხერხით. სხვა მხრივ ნაგებობები დაბალი ღირებულებისაა. შენობები მოძველებულია და დაზიანებული.



საპროექტო ობიექტი, 2018წ.



საპროექტო სახლი, ხედი კუმისის შესახვევიდან, 2018წ.



საპროექტო სახლი, ხედი კუმისის გასასვლელიდან, 2018წ.



საპროექტო სახლი, ხედი კუმისის შესახვევიდან, 2018წ.

საპროექტო ნაგებობა L–ის ფორმის ერსართულიანი საცხოვრებელი სახლია აგურის წყობის ფასადებით. იგი მცირე ბორცვისებურ რელიეფზეა გამართული. მის წინ კუმისის შესახვევი ოდნავი დაღმართია, კუმისის გასასვლელი კი, საკმაოს დაქანებული. დგას საშუალო სიმაღლის შელესილ ცოკოლზე. მას აქვს მარტივი ფასადები მუზარადისებური თაღებიანი ვიწრო სარკმლებით. სარკმლებს აქვთ ნალესი ფორმის ვიწრო მოჩარჩოება და აგურის წყობის საჭექი ქვები. რაფებს ძირზე გაუყვება აგურის ნაშვერი ქამარი. იქვე აგურის წყობის მართკუთხედებია. აქვს აგურის წყობის პილასტრებიც. კუმისის გასასვლელის მხარეს სარკმლების ნაცვლად ორი ნიშაა და ერთი ვიწრო და მაღალი სადარბაზო კარი.. იქვე სახლის „ფეხის“ ნაწილი აგურის ყრუ კედლით გამოდის. სახლის კუთხეებზე მოწყობილია თუნუქის საწვიმარი მილები. ნაგებობა გადახურულია კონვერტის ფორმის თუნუქის გადახურვით, რომელიც მოწყობილია რამდენიმე წლის წინ. ნაგებობას ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ვიწრო მინაშენი, რომელიც გალესილია და მთლიანად ყრუა. მინაშენის გვერდით ეზოში შესასვლელი ხის ჭიშკარია გადახურული თუნუქის ორკალთიანი საფარით. ეზოს მხრიდან ნაგებობას აქვს ხის შემინული გალერეა-აივნები.





ნაგებობის ხედი ეზოდან, 2018წ.

დასკვნა და რეკომენდაციები

განაშენიანება რომელიც აქ ჩამოყალიბდა XXს-ის დასაწყისში და პირველ ნახევარში, მეჩხერია, ძირითადად 1-2 სართულიანი. ქუჩაზე მდებარე შენობები აგურითაა ნაგები და ერთმანეთს ენაცვლება შეულესავი ფასადების აგურის წყობა და ნალესობაში გამოყვანილი ფასადები, რაც ზოგადად ქუჩის მხატვრულ სახის განმსაზღვრელია.

ნაგებობები ძირითადად არაღირებულია და ქუჩის განაშენიანება დეგრადირებულია გვიანდელი, უსახო მცირე მოცულობებით. შენარჩუნებულია შიდა ეზოთა სტრუქტურები, რომელთაც უფრო საკარმიდამო განაშენიანების სახე აქვთ ვიდრე ურბანული. ნაგებობები დგას ქუჩის პერიმეტრზე, ან ოდნავ შეწეულია და ეზოები მოქცეულია მათ გვერდით ან უკან.

საპროექტო ობიექტი, რომლზეც უნდა მოხდეს დაშენება, არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებულია მხოლოდ რელიეფზე კარგად განვითარებული სტრუქტურით და უბნის რიგითი ნაგებობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბნის ნაგებობები არ გამოირჩევა მაღალი არქიტექტურული ღირებულებებით, აქ მნიშვნელოვანია ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელი და პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, ცვლილებების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის განაშენიანების მასშტაბები და ხასიათი.

თუმცა, არ არის გამორიცხული, განსაზღვრული გამომსახველობითი ინტენსივობის და მშენებლობის კარგი ხარისხის, ახალი არქიტექტურული ფორმების გაჩენაც.

აღსანიშნავია, რომ თბილისის რელიეფის არაერთგვაროვნობიდან გამომდინარე, ბუნებრივი ტერასების სიმაღლეთა მონაცვლეობის გამო, მნიშვნელოვნად იზრდება ხედვის აღქმის მანძილები. ამიტომ, ესა თუ ის უბანი და შენობების ჯგუფები აუცილებელია განვიხილოთ არა მარტო მათი ლოკალურ-კომპოზიციური გადაწყვეტიდან გამომდინარე, არამედ მათი როლით მთლიანად ქალაქის სილუეტში, როდესაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გარემოებები სპეციფიურ თვისებებს იძენენ. ამასთან ლანდშაფტური და მხატვრულ-არქიტექტურული მოცულობები ერთიანობაში წარმოგვიდგება;

ამიტომ, აქ გასათვალისწინებელია, რომ ეს ადგილი ჩანს შორიდან და აქ პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, ახალმშენებლობის წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის განაშენიანების ზოგადი სახე და მასშტაბი. არ არის სასურველი არსებულ ნაგებობებზე მოზრდილი მოცულობის დაპროექტება. ასევე აქ ახალი განაშენიანების დაპროექტებისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი მიმდებარე ტერიტორიის პერსპექტიული განვითარებაც;

მნიშვნელოვანია ფოტომონტაჟი შორი ხედიდან და სხვადასხვა რაკურსებიდან, ქუჩის საერთო ხედებში ახალი მოცულობების ჩასმით;

გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის ხარისხიც;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჯანიშვილი

16. 05. 2018

"ქველი უბანი" LTD 205042513 GEORGIA